შპს,,მომავლის სკოლის" მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია

ზოგადი დებულებანი

1. მასწავლებელი შედის მომავლის სკოლის პედაგოგიური საბჭოს შემდაგენლობაში და ახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, “ზოგადი განათლების შესახებ" კანონის თანახმად.

2. მასწავლებელი მასწავლებელი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, “ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, შინაგანაწესით, ამ ინსტრუქციით, დირექტორის სკოლა ტერიტორიაზე სამოქმედოდ გამოცემული ბრძანებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მასწავლებელს , რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი ან საგნობრივი ჯგუფი დაწყებით; საბაზო და საშუალო საფეხურზე;

3. მასწავლებელს ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორი.

4. მასწავლებელი ანგარიშვალდებულია დირექციის, მოსწავლისა და მისი მშობლის (მეურვის) წინაშე.

5. მასწავლებლის ხელფასი განისაზღვრება ხელშეკრულების შესაბამისად.

მასწავლებელი ვალდებულია:

1.მომავლის სკოლაში გამოცხადდეს გაკვეთილის დაწყებამდე 15 წუთით ადრე და დარჩეს შინაგანაწესით განსაზღვრული სამუშაო დროის შესაბამისად, ყოველდღიური საათობრივი ნორმატივის გათვალისწინებით;

2.დაიცვას მომავლის სკოლის შინაგანაწესი;

3.მომავლის სკოლის დირექციასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე არ დაუშვას სამსახურში დაგვიანებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევები;

4.სამუშაო საათების საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში წინასწარ აცნობოს სკოლის ადმინისტრციას, დირექციის მითითებისამებრ შეცვალოს სკოლა არმყოფი თავისი კოლეგა;

5.დაიცვას გაკვეთილების ცხრილისა და მუშაობის გრაფიკი, გაკვეთილებისა და მათ შორის დაწესებული შესვენების ხანგრძლივობა;

6.ყოველი გაკვეთილისთვის მოვიდეს მომზადებული, სისტემურად იმაღლებდეს პროფესიონალურ დონეს და ახდენდეს ამის დემონსტრირებას. სწავლის პროცესში ნერგავდეს სწავლებისა და სწავლის ახალ ტექნოლოგიებს. ეფექტურად იყენებდეს ტექნიკურ საშუალებებს, თვალსჩინო და დიდაქტიკურ მასალებს, რითაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ეფექტურ ამაღლებას;

7.იყოს კომუნიკაბელური, ტაქტიანი მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან ურთიერთობაში არ მიაყენოს მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფა